ქეთევან კუპატაძე •

მასობრივი დემონსტრაციები და სახელმწიფოს ძალადობა საქართველოში: 2007 წ. 7 ნოემბრის, 2011 წ. 26 მაისისა და 2019 წ. 20 ივნისის ანალიზი

აბსტრაქტი

სტატიაში შესწავლილია მასობრივი დემონსტრაციები და სახელმწიფოს ძალადობა საქართველოში, კერძოდ კი 2007 წლის 7 ნოემბრის, 2011 წლის 26 მაისისა და 2019 წლის 20 ივნისის მოვლენების ანალიზი. მასობრივი დემონსტრაციების თემა აქტუალურია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოში, შესაბამისად, აკადემიური ლიტერატურა ამ საკითხით დიდი ხანია დაინტერესდა. კვლევა ყურადღებას ამახვილებს მასობრივი დემონსტრაციების სახეებსა და სახელმწიფოს მიერ გამოვლენილი ძალადობის ხასიათზე. კვლევის ფარგლებში აღებულია საქართველოს უახლოეს ისტორიაში მომხდარი სამი ყველაზე მასშტაბური მასობრივი დემონსტრაცია. არსებულ ანგარიშებსა, დოკუმენტებზე და ჩატარებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით კვლევის მიზანია გავიგოთ, როგორი იყო საზოგადოებრივი პროტესტის ფორმები 2007 წლის 7 ნოემბრის, 2011 წლის 26 მაისისა და 2019 წლის 20 ივნისის მასობრივ დემონსტრაციების დროს და რა თავისებურებებით ხასიათდებოდა სახელმწიფოს ძალადობა აქციების დაშლის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: მასობრივი დემონსტრაციები, სახელმწიფო ძალადობა, პროტესტის ფორმები.

• პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი.

შესავალი

სახელმწიფოები დამოუკიდებლობის მოპოვებიდან რთულ გზას გადიან იმისთვის, რომ დემოკრატიული ღირებულებების მქონე ქვეყნები გახდნენ. ეს პროცესები ხშირ შემთხვევაში დროში გაწელილია. ფილიპ შმიტერის ყურადღება ახალბედა დემოკრატიებმა სწორედ ამ მიზეზით მიიპყრო, მისთვის საინტერესო იყო ის დილემები, რასაც ქვეყნები გადიოდნენ ავტოკრატიის დაშლის, დამხობისა თუ თვითგარდაქმნის შემდეგ. მისი თქმით დემოკრატიების განვითარება ძალიან დიდ ძალისხმევას მოითხოვდა, შესაბამისად შმიტერისთვის საეჭვო იყო ძალიან ბევრ ქვეყანაში მისი წარმატებით განხორციელება (Schmitter, 1993).

დემოკრატიული სახელმწიფოებიც კი ვერ უზრუნველყოფენ მუდმივად თანამონაწილეობას პოლიტიკური კულტურის განვითარებაში და მოქალაქეების ჩაბმას პოლიტიკურ პროცესებში. ხშირ შემთხვევაში ყველაზე დემოკრატიულ სახელმწიფოებშიც ჩახშულია მოქალაქეების ნება და ლიდერები ფლობენ გარკვეულ უპირატესობებს, რაც უბიძგებთ მსგავს სახელმწიფოებს იმისკენ, რომ ოლიგარქიულები გახდნენ (Michels, 1911). ზოგჯერ ადამიანებს არ აქვთ რაციონალური სტიმულები იმისთვის, რომ ინდივიდუალურად იმოქმედონ, რადგან ისინი ფიქრობენ, რომ ამით ვერაფერს შეცვლიან. ამერიკელმა ეკონომისტმა და პოლიტიკის მეცნიერმა მენკურ ოლსონმა აღნიშნა, რომ „დემოკრატიულ საზოგადოებებში მოქალაქეებს უვითარდებათ წარმოდგენა, რომ მნიშვნელობა არ აქვს მისცემ თუ არა ხმას, გაერთიანდები თუ არა ასოციაციებში, ვინაიდან მათი აზრით ცალკეული პირების ესა თუ ის ქმედება ნაკლებად ან საერთოდ არ აისახება შედეგზე“ (Olson, 1963). თუმცა სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელობა ძალიან დიდია. ის განსაზღვრავს ქვეყნის მომავალს, რადგან, ზოგჯერ ხელისუფლება ხელმოცარულია. ამ დროს კი მოქალაქეები ის მთავარი ძალაა, რომელიც მათ აიძულებთ პასიური მდგომარეობიდან აქტიურში გადავიდნენ, თუნდაც იმისთვის რომ სტატუს კვო არ დაკარგონ, იმოქმედონ.

მასობრივი დემონსტრაციების თემა დიდი აქტუალურობით სარგებლობს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოში. აკადემიური ლიტერატურა ამ თემით მდიდარია. ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუციით და მათ შორის საქართველოს, უზრუნველყოფილია მშვიდობიანი მანიფესტაციებისა და შეკრების თავისუფლება. ყოველივე ეს გულისხმობს, რომ ადამიანს აქვს უფლება სურვილის შემთხვევაში გამოვიდეს საჯაროდ ან კერძოდ და კოლექტიურად განაცხადოს სათქმელი, მანამ სანამ ის არ დაკმაყოფილდება (საქართველოს კონსტიტუცია, 1995). მიუხედავად ამ საყოველთაო უფლებისა, რომელსაც ყველა დემოკრატიული სახელმწიფო ანიჭებს მოქალაქეს, ის არ არის აბსოლუტური ხასიათის. საერთაშორისო სტანდარტებისა და კონსტიტუციის მიხედვით, დადგენილია წესები, რომელსაც თითოეული მოქალაქე უნდა დაემორჩილოს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აშკარაა წესების დარღვევა შესაბამისმა ორგანოებმა, უნდა უზრუნველყონ, კანონის ფარგლებში, ჩარევა და მშვიდობიანად დასრულება. ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-11 მუხლის თანახმად, სახელმწიფოს ეკისრება როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური ვალდებულებები. ნეგატიურ ვალდებულებაში განმარტებულია, რომ სახელმწიფომ მიზანმიმართულად, წესების დარღვევით არ უნდა დაშალოს დემონსტრაციები. პოზიტიურ ვალდებულებებში კი მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა, რომ დაიცვან მოქალაქეები მესამე ძალისგან და მათ მისცენ საჯაროდ გამოსვლის შესაძლებლობა (ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენცია, 1950).

1991 წლიდან ანუ დამოუკიდებლობის ხელახალი მოპოვებიდან, ქართველი საზოგადოება მომსწრე იყო მრავალი დემონსტრაციის. მათ შორის ზოგი უფრო მასშტაბური იყო, ზოგი ნაკლებად. საქართველოში მასობრივი დემონსტრაციების თემა მუდმივად აქტუალურია, რადგან ხშირად ადამიანთა გარკვეულ ჯგუფებს არ რჩებათ სხვა გზა მიზნის მისაღწევად. მათ ამის უფლება არა მხოლოდ კონსტიტუციით აქვთ მინიჭებული, არამედ საერთაშორისო აქტებით, რომლებიც საქართველოს მიერ არის რატიფიცირებული

(Guidelines on Freedom of Peaceful Assembly, 2010). მასობრივი დემონსტრაციები ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს კულტურულ, პოლიტიკურ თუ სოციალურ უფლებათა რეალიზების მიზანმიმართულ და წარმატებულ გზას, რის გამოც საერთაშორისო საზოგადოება ქვეყნის დემოკრატიის ფუნდამენტად მიიჩნევს (საქართველოში მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების მონიტორინგი, 2012). უახლეს ისტორიაში ხშირია ფაქტები, როცა აშკარაა სახელმწიფოს მხრიდან გამოვლენილი ძალადობა. მასობრივი დემონსტრაციები იშლება ადამიანის უფლებების დარღვევით, უმეტეს შემთხვევაში არ არის დაცული ძალთა პროპორციულობა. ის ორგანოები, რომლებიც ადამიანების უფლებებს უნდა იცავდნენ და მათ მშვიდობიანი დემონსტრაციების ჩატარებაში ეხმარებოდნენ, თავად ხდებიან აგრესორები. არღვევენ კონსტიტუციასა და საერთაშორისო აქტებს, რის გამოც ხელს უშლიან ქვეყნის განვითარებას და წინსვლას (ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენცია, 1950; Guidelines on Freedom of Peaceful Assembly, 2010).

ქრისტიან დავენპორტის (2007) განმარტებით, როდესაც მთავრობა მოქმედებს მოქალაქეებისთვის საყოველთაო უფლების ჩამოსართმევად, ამ დროს ვართ რეპრესირებულები. რეპრესია კი შესაძლოა მოიცავდეს „პოლიტიკური ხელისუფლების მიერ გამოყენებული ძალისმიერი ძალისხმევის მრავალფეროვნებას, რათა გავლენა მოახდინონ მათ ტერიტორიულ იურისდიქციაში მყოფებზე: აშკარა და ფარული, ძალადობრივი და არაძალადობრივი, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული და სახელმწიფოსთან დაკავშირებული, წარმატებული და წარუმატებელი (Davenport, 2007). აღსანიშნავია, რომ უფლებამოსილების გადამეტება ზემოთ მოყვანილ საერთაშორისო აქტებზე დაფუძნებით მკაცრად ისჯება. თუმცა ხშირად ძალადობის დამკვეთი სწორედ ის სტრუქტურებია, რომლებიც მათ უნდა სჯიდნენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ თითოეულმა მოქალაქემ იცოდეს კონსტიტუციით და საერთაშორისო აქტებით მინიჭებული უფლებები, სამართლებრივმა ორგანოებმა კი არ

გადააჭარბონ მათ პროფესიულ ვალდებულებებს და დაიცვან ძალთა თანაფარდობა.

კვლევის მიზანია 2007 წლის 7 ნოემბრის, 2011 წლის 26 მაისისა და 2019 წლის 20 ივნისის მოვლენების ანალიზის საფუძველზე, შევისწავლოთ საპროტესტო გამოსვლების ფორმები და სახელწმიფოს ძალადობა. შესაბამისად, კვლევის პროცესის დაწყებამდე მნიშვნელოვანია გავეცნოთ და გავაანალიზოთ მასობრივი დემონსტრაციებისა და სახელმწიფო ძალადობის ირგვლივ არსებულ აკადემიურ ლიტერატურას, მოვიძიოთ და გავაანალიზოთ ზემო აღნიშნული დემონსტრაციების დროს მიმდინარე მოვლენები, პოლიტიკური ვითარება და მაშინდელი ხელისუფლების დამოკიდებულება.

მოცემული სტატია გაყოფილია ორ ნაწილად. პირველ ნაწილში თეორიული ჩარჩო და კვლევის მეთოდოლოგია არის წარმოდგენილი, მეორე ნაწილი კი ეყრდნობა კვლევის შედეგებს, რომელიც სამ ქვეთავადაა ჩაშლილი: პირველი ესაა 2007 წლის 7 ნოემბრის, 2011 წლის 26 მაისისა და 2019 წლის 20 ივნისის ანგარიშების ანალიზი; მეორე - ექსპერტული შეფასებები; დაბოლოს, სამართალდამცავთან ინტერვიუს ანალიზი.

თეორიული მიმოხილვა და კვლევის მეთოდოლოგია

პოლიტიკურ ძალადობას ხშირ შემთხვევაში მთავრობები პოლიტიკური ან სამხედრო მიზნების მისაღწევად იყენებენ. როგორც ვებერი აღნიშნავს, სახელმწიფოს აქვს მონოპოლია იძულებასა და ფიზიკური ძალის გამოყენებაზე (Weber, 1919). მთავარი აქსიომა, თუ რატომ მიმართავს სახელმწიფო პოლიტიკურ ძალადობას გახლავთ ის, რომ მთავრობებს სურთ რაც შეიძლება დიდხანს დარჩნენ ხელისუფლებაში. შიდა უთანხმოებამ სახელმწიფოში და ადამიანების მასობრივმა პროტესტმა შესაძლოა მთავრობების ჩამოგდება განაპირობოს. იმისთვის, რომ მთავრობებმა სტატუს კვოს გაგრძელება შეძლონ, მათ თავი უნდა დაიცვან. მათთვის კი ძალადობა

ყველაზე მარტივი და იაფიანი გამოსავალი გახლავთ. თუმცა ბევრად ძვირია კოოპტაცია, რომელიც გულისხმობს მთავრობის მიერ დათმობებზე წასვლას და ოპოზიციასთან თანამშრომლობას. მარტივად რომ ავხსნათ, კომუნიკაციური არხების გაძლიერებას.

ჯეიმს დეივისმა ნაშრომში „რევოლუციის თეორიისკენ, 1962“ საინტერესო ახსნა შემოგვთავაზა იმისა, თუ რა იწვევს ადამიანებში გაერთიანების მძლავრ სურვილს, რაც მათ აიძულებთ გამოვიდნენ და საჯაროდ გამოხატონ აზრი. დეივისისთვის რევოლუციები არც სოციალური დეპრივაციის გახანგრძლივებული ან გაუარესებული სიტუაციის პირობებში ხდება და არც კეთილდღეობის გაუმჯობესების დროს. დეივისმა რევოლუციური აფეთქება იმედგაცრუებას დააბრალა, რომელიც მიღწევების გრძელვადიანი ზრდის შემდეგ მოკლევადიანი ვარდნით არის მიღწეული. მან ანგარიში გაუწია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მრუდს, რის საფუძველზეც, მაშინ, როცა სოციალური კეთილდღეობა ადამიანისთვის მუდმივად იზრდება და უცებ ხდება მისი მკვეთრი ვარდნა, უკუსვლა და ეს ხდება სოციალური მოლოდინების საპირისპიროდ, ადამიანისთვის იქმნება აუტანელი შეუსაბამობა. მისთვის მარტივად რომ ვთქვათ სოციალური ბედი შეიცვალა, მას აქვს მომავლის შიში, ზოგჯერ გადაჭარბებულიც, რაც ხდება მიზეზი მისი შემდეგი ქმედებებისა (Davies, 1962).

მიუხედავად დეივისის საინტერესო მოსაზრებებისა მისი მსჯელობა ურთიერთგამომრიცხავია და კითხვებს აჩენს. კონკრეტულად ის აღნიშნავს, რომ არ აღიარებს დეპრივაციის თეორიას, რომელიც რეალურად გახლავთ უკმაყოფილების მდგომარეობა. ასევე, მისი თქმით, არც კეთილდღეობის გაუმჯობესება იწვევს მასების მობილიზებას, მაგრამ ამის პარალელურად საუბრობს, რომ ადამიანებს როცა მიეწოდებათ სოციალური და ეკონომიკური გაუმჯობესებული მდგომარეობა და შემდეგ უცებ წყდება, იწვევს შიშს. შესაბამისად ეს შიში იბადება იმ საზოგადოებაში, რომელთა კე-

თილდღეობაც გაუმჯობესებულია და ის არათუ უნდა უარყოფდეს, პირიქით უნდა ეთანხმებოდეს ამ მსჯელობას.

დეივისისაგან განსხვავებით, სამუელ ჰანტინგტონმა ნაშრომში „პოლიტიკური წესრიგი ცვალებად საზოგადოებაში, 1968“, ჩამოაყალიბა დებულება, რომ ეკონომიკურად განვითარებულ და სრულიად მოდერნიზებულ ქვეყნებში იშვიათად ვხვდებით არასტაბილურობასა და ძალადობას. შესაბამისად, ეკონომიკურ ზრდის ტემპსა და პოლიტიკურ არასტაბილურობას შორის ურთიერთობა იცვლება ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით. მისი აზრით, ადამიანები, რომლებიც დგანან სიღარიბის ზღვარზე, არიან უსაზღვროდ რთულ ეკონომიკურ ვითარებაში, მათთვის პოლიტიკაც ღარიბია. მარტივად რომ ვთქვათ, ისინი ინერტულები არიან და არ აქვთ სურვილი ჩაერთონ პოლიტიკურ პროცესებსა და პროტესტში (Huntington,1968).

ჰანტინგტონის ვარაუდი ნამდვილად არ არის ლოგიკას მოკლებული, თუმცა ზოგჯერ რეალობა განსხვავებულია. ღარიბი ადამიანები ნამდვილად არ არიან სტუმართმოყვარე სხადასხვა ცვლილებებზე. ისინი არ არიან პოლიტიკური პროცესების მთავარი აქტორები, თუმცა მათ სხვა არაფერი დარჩენიათ თუ არა წინააღმდეგობის გაწევა. ხშირ შემთხვევაში კი, სწორედ ღარიბი ადამიანები წარმოადგენენ დემონსტრაციების მთავარ ძალას, რომელიც მთავრობებს უკან დახევას აიძულებთ.

მსოფლიოში არაერთი მეცნიერი შეეცადა განემარტა თუ რა იწვევდა ადამიანებში ცვლილებებს, რაც შემდეგ მასობრივი თავშეყრისკენ უბიძგებდათ, თუმცა ტედ გურმა შემოგვთავაზა თეორია, რომელიც დღემდე აქტუალურია. მან ნაშრომში „რატომ ჯანყდებიან ადამიანები, 1970“, სცადა აეხსნა პოლიტიკური ძალადობა და დაესახელებინა მისი განმაპირობებელი ფაქტორები. მას მთავარი არგუმენტი ფსიქოლოგიაზე დაჰყავს და განმარტავს, რომ ადამიანების მოლოდინებსა და რეალობას შორის დიდი უფსკრულის გაჩენის შემთხვევაში წარმოიქმნება სოციალური მოძ-

რაობები. მან ეს ფარდობითი დეპრივაციის თეორიით ახსნა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მისთვის იმედგაცრუებაც ერთ-ერთი მთავარი პირობაა პოლიტიკური ძალადობის წარმოსაქმნელად, შესაბამისად ის ეყრდნობა ფრუსტრირება-აგრესიის თეორიას (Gurr, 1970).

როგორც ვხედავთ, მოლოდინსა და რეალობას შორის დიდი სხვაობა ხდება პოლიტიკური ძალადობის მიზეზი. ძალადობის სირთულე კი დამოკიდებულია იმედგაცრუების დონეზე. ეს თეორიები არ გახლავთ ურთიერთგამომრიცხავი. თითოეული მათგანი თავის თავში გულისხმობს მეორეს. მაგალითად, იმედგაცრუება ვერ გაჩნდება მოლოდინების გარეშე და მოლოდინების შედეგად ადამიანში აგრესიას ვერ ჩაეყრება საფუძველი, თუ მასში ეს იმედგაცრუება არ მოხდა. შესაბამისად გამოდის, რომ ეს თეორიები არ გახლავთ დამოუკიდებელი, საინტერესო იქნებოდა ავტორს ეჩვენებინა კონტრთეორია, რომელიც დაუპირისპირდებოდა ზემოთ ხსენებულს.

ზემოთ აღნიშნული ავტორებისაგან განსხვავებით, გოპალ სინგჰმა სტატიაში „პოლიტიკური ძალადობის ფსიქოლოგია, 1976“, იმსჯელა სხვადასხვა ავტორების შეხედულებებზე პოლიტიკურ ძალადობასთან დაკავშირებით და საბოლოოდ მივიდა დასკვნამდე, რომ მისთვის საზოგადოებასა და პოლიტიკაში ძალადობის ძირითადი გამომწვევი მიზეზი გახლავთ სამი რამ: სიღარიბე, ექსპლუატაცია და ძალადობა. მისი აზრით, რაც მეტი იქნება ექსპლუატაცია, მით მეტია ძალადობის ხარისხი. საზოგადოებაში დომინანტი სოციალურ და ეკონომიკური ჯგუფები კი გახლავთ ექსპლუატაციის ძირითადი ძალები, რომლებიც სხვადასხვა ინსტრუმენტებს იყენებენ თავიანთი ინტერესების რეალიზაციისთვის და ძალაუფლების შესანარჩუნებლად (Singh,1976).

შესაბამისად, ავტორთა ნაწილი ფიქრობს, რომ ადამიანებში მძაფრ სურვილს გამოვიდნენ საჯაროდ, მასობრივად და დააფიქსირონ აზრი აჩენს იმედგაცრუება, რომელიც გაზრდილი მოთხოვნი-

ლებებითაა მიღწეული. ავტორთა ერთი მხარის აზრით ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ საზოგადოებაში ჩნდება მხოლოდ პროტესტოს ტალღა, მაშინ, როცა მეორე მხარის აზრით ეკონომიკურად განვითარებულ და მოდერნიზებულ ქვეყნებში იშვიათად ვხვდებით ძალადობას.

გასფილდმა ნაშრომში „ხელმძღვანელობის ფუნქციური სფეროები სოციალურ მოძრაობებში, 1966“, მასობრივი დემონსტრაციების სამი ტიპი განასხვავა ერთმანეთისგან: კლასი, სტატუსი და ექსპრესიული. გასფილდის მიხედვით კლასობრივი მოძრაობა არის ინსტრუმენტულად კარგად ორგანიზებული საზოგადოება, კონკრეტული ინტერესების გარშემო. სტატუსის მოძრაობა ორიენტირებულია, რომ საკუთარ ჯგუფს შეუნარჩუნოს და აუმაღლოს პრესტიჟი, ხოლო რაც შეეხება ექსპრესიულ მოძრაობას, ის „გამოირჩევა უმიზნო ქცევით ან მიზნების სწრაფვით, რომლებიც არ არის დაკავშირებული იმ უკმაყოფილებასთან, საიდანაც მოძრაობა წარმოიშვა“ (Gusfield, 1966).

საინტერესო ახსნა შემოგვთავაზა ტილმა ნაშრომში „მობილიზაციიდან რევოლუციისკენ, 1978“, სადაც მან აღნიშნა, რომ კოლექტიური პროაქციის ისეთი ფორმები, როგორიცაა დემონსტრაციები, დაფინანსებული საჯარო შეკრება და პეტიცია, დაკავშირებულია საარჩევნო პოლიტიკის მოსვლასთან. მისი აზრით, კოლექტიური კონკურენცია ესაა სიმეტრიული, რადგან როცა ერთი მხარე იბრძვის საჯაროდ, მას პასუხობს მეორეც. საზოგადოების ჯგუფი თუ ცდილობს გადატრიალებას, მაშინ ხელისუფლება თავს იცავს. აღსანიშნავია, რომ მან მასობრივი დემონსტრაცია სამ ტიპს შეუსაბამა: კონკურენტული, რეაქტიული და პროაქტიული. მაგალითად, საგადასახადო აჯანყება, სასურსათო ბუნტი არის რეაქტიული, ხოლო პროაქტიულია დემონსტრაციები და გაფიცვა. ტილის ნაშრომის მიხედვით მე-15 და მე-16 საუკუნეებში კონკურენტული ფორმები ჭარბობდა, მე-17 საუკუნიდან მე-19 საუკუნემდე გავრცელდა

რეაქტიული, ხოლო ბოლო ორ საუკუნეში პროაქცია გახლდათ დომინანტი (Tilly, 1978).

ტილის აღნიშნული ტიპები დამყარებულია წინასაისტორიო გამოცდილებიდან, თუმცა, მან არ განმარტა თუ რა უნივერსალური თვისებით ხასიათდება თითოეული ტიპი და რით გახლავთ ერთმანეთისგან გამორჩეული. ამ ნაშრომში ტილი აღნიშნავს, რომ ტიპები პრეტენზიებზე გახლავთ დამოკიდებული.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ქვეყნებს უამრავი კრიზისული პერიოდის გადატანა უწევთ იმისთვის, რომ დემოკრატიულ ღირებულებებზე დადგნენ და თავი დააღწიონ ძველ რეჟიმებს. საქართველოს დამოუკიდებლობიდან 32 წელი გავიდა და ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ დიდი გამოცდილება დაეგროვებინა დემონსტრაციებისა და სახელმწიფოს ძალადობის კუთხით. მართლაც, რომ წარმატებული საპროტესტო მოძრაობების მაგალითების საკმაოდ მცირეა (Dundua et al, 2022).

ჩარლზ ტილი ნაშრომში „მობილიზაციიდან რევოლუციამდე, 1978“, სახელმწიფო ძალადობას განსაზღვრავს ჯგუფის მიერ მოქმედების ისეთ ფორმას, რომელიც პრეტენდენტის კოლექტიური მოქმედების ღირებულებას ზრდის. მას ასევე შემოაქვს მეორე ფორმა, ფასილიტაცია, რა დროსაც პირიქით, ჯგუფის კოლექტიური ღირებულება მცირდება. თუმცა, მისი განცხადებით გასათვალისწინებელია, რომ ის მხოლოდ მაშინაა პოლიტიკური, როცა მეორე მხარე მთავრობაა. ტილისთვის ანტიმობილიზაციის ერთ-ერთი გზაა გაფიცულთა შეკრება, გაზეთების აკრძალვა, ლიდერების დაპატიმრება, შეკრებების აკრძალვა და ა.შ. ავტორისთვის ორ ფაქტორზე გახლავთ დამოკიდებული მთავრობის გადაწყვეტილება, გამოიყენებს თუ არა ძალას დემონსტრანტების წინააღმდეგ: მასშტაბი და ჯგუფის ძალა. სახელმწიფოს მხრიდან ძალადობა მით მეტადაა შესაძლებელი, რაც უფრო დიდი გახლავთ მოქმედების მასშტაბი. ხოლო თუ დემონსტრანტები სიძლიერეს ინარჩუნებენ და ამას მთავრო-

ბებს ანახებენ, შანსი იმისა, რომ მთავრობები ძალას გამოიყენებენ დაბალია (Tilly, 1978).

ყველა რეჟიმი განსხვავებულად პასუხობს დემონსტრანტებს. ჰენდერსონი ნაშრომში „პოლიტიკური რეპრესიების გამოყენებაზე მოქმედი პირობები, 1991“ აღნიშნავს, რომ დემოკრატიაში სახელმწიფოს მხრიდან ძალადობა, იგივე რეპრესია ძვირად ფასობს, ვიდრე თუნდაც ავტოკრატიაში. მიზეზი გახლავთ ის, რომ დემოკრატია ალტერნატიულ საშუალებებს უზრუნველყოფს, როგორიცაა არჩევნები, რომელიც საშუალებას იძლევა ძალის გამოყენების გარეშე შეიცვალოს მთავრობა. მისი აზრით სახელმწიფოს ძალადობა პიკს აღწევს ისეთ რეჟიმებში, რომელიც არც ავტოკრატიულია და არც სრულად დემოკრატიული: 1) მთავრობებს ავტოკრატიულ რეჟიმებში არ სჭირდებათ რეპრესიებს მიმართონ ერთი მარტივი მიზეზის გამო, იქ მოსახლეობა იმდენად კოდირებულია, რომ არასდროს გამოვა საჯაროდ გასაპროტესტებლად, სამაგალითო დასჯის შიშის გამო. 2) რაც შეეხებათ დემოკრატიულ რეჟიმებს, აქ ხელისუფლება ვერასდროს გაბედავს გამოიყენოს ძალადობის უმკაცრესი ფორმა, რადგან ამ შემთხვევაში მოქალაქეები უპასუხებენ მათი ჩამოშორებით (Henderson, 1991).

საინტერესოა ჰენკ ჯონსტონის მოსაზრება სტატიაში „სახელმწიფო ძალადობა და ოპოზიციური პროტესტი ავტორიტარულ რეჟიმებში, 2012“, სადაც მან სახელმწიფო ძალადობის 7 ასპექტი გამოჰყო: ერთპარტიულობის წესი; მმართველობის ცენტრალიზაცია; მედია კონტროლი; მაღალგანვითარებული სოციალური კონტროლის აპარატი; მოქალაქეთა დაცვის არარსებობა; პოლიტიკური ვენალობა და კლიენტალიზმი (Johnston, 2012).

ჯონსტონის მიერ განხილული შვიდივე ასპექტი აღწერს არადემოკრატიული რეჟიმებს, თუმცა კარგი იქნებოდა უფრო მეტი ეთქვა სამოქალაქო საზოგადოებაზე. კონკრეტულად როგორი პოლიტიკური კულტურის საზოგადოების გარშემო გამოვლენილ შემთხვევებს გულისხმობდს ის, რადგან ხშირად გარდამავალი სახელ-

მწიფოები, როგორიცაა საქართველო, ავლენენ მსგავს თვისებებს. ასევე დემოკრატიულ რეჟიმებშიც შესაძლოა შევხვდეთ მაგალითად პოლიტიკურ ვენალობას. ამიტომ კარგი იქნებოდა მას დაეტოვებინა ძალადობის საზომი, რაც მოგვცემდა საშუალებას უფრო მეტად გაგვერჩია მათი სირთულეები.

განსხვავებით დასახელებული ავტორებისგან, დანიელ გუსტაფსონი ნაშრომში „შიმშილი ძალადობისკენ: ძალადობრივი ესკალაციების ახსნა და დემონსტრაციები, 2019“ წარმოადგენს კოლექტიური მოქმედების თეორიას, სადაც ინდივიდუალური პრეფერენციების პროდუქტი გახლავთ ჯგუფის გადაწყვეტილება ჩაერთოს თუ არა იგი ანტისამთავრობო ძალადობაში. ის გვთავაზობს სამ ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს დემონსტრაციების ესკალაციის ალბათობაზე: სურსათზე ფასის ზრდა, უმუშევრობის დონე და პროტესტის ხასიათი - ორგანიზებულია თუ სპონტანური.

სურსათზე ფასების შემცირებამ ან სტაბილურობამ ადამიანებს ძალადობრივ დემონსტრაციებზე უარი უნდა ათქმევინოს. უმუშევრობის გაზრდილმა მაჩვენებელმა შესაძლოა ოჯახები სიღარიბეში ჩააგდოს, შესაბამისად ამ დროს შანსი დემონსტრანტების ძალადობისა გაცილებით მაღალია. პროტესტის ხასიათი კი პირდაპირპროპორციულია ძალადობის. კერძოდ, ავტორს მიაჩნია, რომ ორგანიზაციულ ძალადობაში ნაკლები შანსია დემონსტრანტების ძალადობის, მაშინ, როცა სპონტანური ხასიათდება გაურკვევლობით, რა დროსაც ვერ აანალიზებ მოვლენების დინამიკას. შესაბამისად მან ნებისმიერ დროს შესაძლოა მიიღოს ძალადობრივი სახე.

ამდენად არსებულ აკადემიურ ლიტერატურაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვისაუბროთ მასობრივი დემონსტრაციების ტიპებსა და სახელმწიფოს მხრიდან გამოვლენილი ძალადობის ამხსნელ ფაქტორებზე. საინტერესო თეორიები შემოგვთავაზეს ავტორებმა იმასთან დაკავშირებით თუ რატომ ძალადობენ სახელმწიფოები დემოკრატიული რეჟიმების დროსაც კი. უმეტესი მათგანი დაეყრდნო ფრუსტრაციისა და ფარდობითი დეპრივაციის თეორიებს.

მათთვის იმედგაცრუება და გაზრდილი მოლოდინები არის ხალხში პროტესტის წინაპირობა. რეჟიმები კი განსხვავებულად ძალადობენ საზოგადოებებზე, ხაზგასასმელი ისაა, რომ ყველა რეჟიმი ძალადობს, თუმცა აქ მთავარი იდეა სწორედ ძალადობის შეფასებაა. შესაბამისად ძირითად თეორიულ ჩარჩოდ გამოვიყენებ ჩარლზ ტილის ნაშრომს „მობილიზაციიდან რევოლუციისკენ, 1978“, დამხმარე თეორიულ ჩარჩოდ კი ჰენკ ჯონსტონის სტატიას „სახელწმიფო ძალადობა და ოპოზიციური პროტესტი ავტორიტარულ რეჟიმებში, 2012“ , სადაც მან ყურადღება სახელმწიფო ძალადობის დონეებსა და სამ განზომილებაზე გაამახვილა. რაც შეეხება ქართულ აკადემიურ ლიტერატურას, ის შედარებით ნაკლებადაა ფოკუსირებული პოლიტიკური ძალადობის თემაზე და ძირითადად მას მემარჯვენე რადიკალიზმისა და ექსტრემიზმის (Tabatadze, 2019) ან სამოქალაქო ომების (Baev, 2018) პერსპექტივებიდან განიხილავს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული სამი მოვლენისადმი აკადემიური ინტერესი არც ისეთი მაღალია და მხოლოდ რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომს მოიცავს (Tchantouridzé, 2008; Kaprovich & Sharikov, 2021).

მოცემული კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, სტატიაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის ორი მეთოდი: დოკუმენტების ანალიზი და სიღრმისეული ინტერვიუ. არაალბათური მიზნობრივი შერჩევის გზით, შესწავლილია Human Right Watch”-ის, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა“ და „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ ანგარიშები, რაც, სწორედ მოცემული კვლევის ფოკუსში არსებული სამი მოვლენის შეფასებას მოიცავს. გარდა ამისა, ჩატარდა 4 პირისპირი ნახევრად-სტრუქტურირებული ექსპერტული ინტერვიუ. ამას გარდა, ნახევრად-სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა სამართალდამცავთან არაალბათური მიზნობრივი შერჩევის გზით, რადგან, ის 2007 წლის 7 ნოემბრისა და 2011 წლის 26 მაისის დემონსტრაციების დაშლის მონაწილე იყო. თითოეულ შემთხვევაში,

რესპონდენტებისგან მიღებულია ინფორმირებული თანხმობა და ამდენად, კვლევის ეთიკა დაცულია. პირისპირი ინტერვიუები ჩატარდა 2022 წლის აპრილი-მაისის თვეში. კვლევის ძირითადი შეზღუდვაა ამ პერიოდში სახელმწიფო ძალადობაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირებისა და სამართალდამცავების უარი ინტერვიუს ჩატარებაზე.

კვლევის შედეგები და დისკუსია

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს პოლიტიკური კურსი დასავლეთისკენ არის მიმართული, თუმცა საინტერესოა რამდენად წარმატებულად. მიუხედავად იმისა, რომ 2003 წელს „ვარდების რევოლუციის“ გზით შეიცვალა ხელისუფლება და ეს არ იყო დემოკრატიის მახასიათებელი, დასავლეთი დადებითად შეხვდა მიხეილ სააკაშვილის გაპრეზიდენტებას. “Human Right Watch“-მა თავის ანგარიშში “საქართველოს მიერ მომიტინგეების ძალადობრივი დარბევა” მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პირველი ოთხი წლის შეფასებისას აღნიშნა, რომ ეს წლები ნამდვილად ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება საქართველოს ისტორიაში, რადგან ტრანსფორმაცია განიცადა საქართველოს გეზმა და ნელნელა დაიწყო განვითარება. თუმცა 2007 წელს, სამთავრობო ძალების მიერ გამოყენებულმა საშუალებებმა საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ, მასობრივი დემონსტრაციის დასაშლელად, საქართველოს ადამიანის უფლებებისადმი ერთგულების სისუსტე გამოავლინა და კანონის უზენაესობაც დაარღვია.

2007 წლის 7 ნოემბრის მასობრივ დემონსტრაციას საქართველოს ისტორიაში უკვალოდ არ ჩაუვლია. რეალურად პოლიტიკური კრიზისი 3 ნოემბერს დაიწყო, თუმცა ხელისუფლების მხრიდან გამოყენებულმა ძალამ, 7 ნოემბრის დაღი დაასვა მაშინდელ ხელისუფლებას, „ნაციონალურ მოძრაობას“. საპროტესტო აქციები პოლიციელების მხრიდან გამოყენებული სხვადასხვა იარაღის საშუალებით, როგორიცაა აკუსტიკური თოფები, ცრემლსადენი გაზი,

წყლის ჭავლის გამოყენება, ფიზიკური შეურაცხყოფით და საგანგებო მდგომარეობის გამოყენებით დასრულდა. საბოლოოდ კი მაშინდელმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა, ვადამდელი არჩევნები და რეფერენდუმი გამოაცხადა (“Georgia’s Violent Dispersal of Protestorს, 2007“).

3 ნოემბერს დაწყებული პოლიტიკური კრიზისი 7 ნოემბერს სახელმწიფო ძალადობაში გადაიზარდა. დილით გამოცხადებულ საგანგებო ბრიფინგზე მაშინდელმა ქალაქის მერმა გიგი უგულავამ განაცხადა, რომ არ აპირებდა დედაქალაქი კარვების ქალაქად გაეხადა, შესაბამისად, მას უნდა აღედგინა მოძრაობა და გაეწმინდა ტროტუარი დემონსტრანტებისგან. დემონსტრაციის ხასიათი თავდაპირველად მშვიდობიანი იყო, ძირითადად მოშიმშილეებით შემოიფარგლებოდნენ, რომელთა მოთხოვნაც პოლიტპატიმრების გათავისუფლება და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების გამოცხადება იყო. თუმცა, მას შემდეგ, რაც პოლიციელებმა პარლამენტის წინა ტერიტორიიდან ხალხის აყრა დაიწყეს, პირველად ფიზიკური შეხლა-შემოხლა სწორედ ამ დროს მოხდა. პოლიციელები ხელკეტებით სცემდნენ იმ მონაწილეებს, რომლებიც სამანქანო გზის დაკავებას ცდილობდნენ, ხალხის მასა უფრო და უფრო იზრდებოდა. მოქალაქეები ერთმანეთის მხარდასაჭერად გამოდიოდნენ და მათი რაოდენობა როგორც „Human Right Watch“-ის ანგარიშში ვკითხულობთ 3000-5000 ადამიანამდე გაიზარდა. შესაბამისად, პოლიციელებს უჭირდათ მათთვის წინააღმდეგობის გაწევა და ტროტუარზე შეკავება. „სწრაფად მოვიდა ხალხის უზარმაზარი ნაკადი. იმდენი ხალხი იყო, რომ ვეღარ ეტევა პარლამენტის წინ ტერიტორიაზე“. ერთ ერთი მოწმის მტკიცებით, მან დაინახა ორი პოლიციელი როგორ მიათრევდა ახალგაზრდა მამაკაცს, მესამე კი თავში მუშტს ურტყამდა. რა თქმა უნდა, „Human Right Watch” დაუკავშირდა შინაგან საქმეთა სამინისტროს და მათგან გარკვეული ინფორმაციის გამოტანა ითხოვა. როგორც მაღალჩინოსნებმა მათ განუცხადეს, დე-

მონსტრანტები აგრესიას ავლენდნენ პოლიციელების მიმართ, სცემეს ოთხი პოლიციელი და დააზიანეს მათი მანქანა, მოქალაქეები იარაღად დროშის ტარს იყენებდნენ, თუმცა მათგან უფრო დეტალური ინფორმაცია და ფაქტები ამის შესახებ არ მიუღიათ.

„Human Right Watch"-ისთვის უცნობია დემონსტრაციის დაშლის პროცესში რამდენი სამართალდამცავი იმყოფებოდა ადგილზე, თუმცა ცნობილია, რომ მას შემდეგ, რაც პოლიციელებს უკან დახევა უბრძანეს, გაიზარდა თავისუფლების მოედანზე სპეცრაზმელთა და სპეციალურ დანაყოფთა რიცხვი. გაიზარდა სასწრაფო და სახანძრო მანქანების რიცხვი, მობილიზდა წყლის ჭავლით აღჭურვილი მანქანა, რაც მიანიშნებდა იმაზე, რომ ემზადებოდნენ სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით მოქალაქეების დაშლისთვის. სპეცრაზმელები ისე იყვნენ შენიღბულნი, რომ მათი იდენტიფიკაცია ვერ მოახდინა ვერცერთმა პირმა, რომელსაც გაესაუბრა „Human Right Watch".

12:30 წუთზე პოლიციელებმა საყვირში გამოცხადებით მოუწოდეს დემონსტრანტებს დაშლისკენ. როგორც ანგარიშიდან ირკვევა არ არსებობს ფაქტები იმისა, თუ რამდენჯერ გაკეთდა ეს მოწოდება, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა მათ განუცხადეს, რომ დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში ისინი მუდმივად მოუწოდებდნენ მათ დაშლისკენ. ამ მოწოდებებს მოჰყვა წყლის ჭავლის გამოყენება, რის შემდეგაც რამდენიმე მომიტინგემ უკან დაიხია, თუმცა საკმაოდ ბევრი ისევ წინ დარჩა. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით ეს არ აღმოჩნდა ეფექტური, რის გამოც გამოიყენეს სხვა უფრო ძლიერი საშუალებები. რეალურად კი როგორც ანგარიშიდან ვკითხულობთ, სამართალდამცავებმა ძალიან ცოტა დროით გამოიყენეს ეს საშუალება, ისიც მხოლოდ წინა ხაზზე, შესაბამისად ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ მათი მიზანი არა მხოლოდ დემონსტრანტების დაშლა იყო, არამედ მათი სათანადოდ „დასჯაც". როგორც „Human Right Watch"-ის ან-

გარიშშია აღნიშნული, დანარჩენი საშუალებები, რომლებიც გამოიყენეს საპოლიციო ძალებმა არ იყო გაცხადებული წინასწარ დემონსტრანტებისთვის. ცრემლსადენი გაზის ინტოკსიკაციით ასობით ადამიანმა მიმართა იმ დღეს ჰოსპიტალს, ასევე დემონსტრანტები ითხოვდნენ დაესახელებინათ გაზის შემადგენლობა, რაც არ ისურვა შინაგან საქმეთა სამინისტრომ და ამის შესახებ ინფორმაცია არც „Human Right Watch”-ს მიაწოდა. შესაბამისად, მათ საბოლოო დასკვნაში ნათქვამია, რომ ძალის გამოყენება იყო გადაჭარბებული, დემონსტრაციის დაშლის დროს გამოყენებული საშუალებები არ იყო ლეგიტიმური.

აღსანიშნავია, რომ სანამ სახელმწიფო ძალას გამოიყენებდა და მას შემდეგაც, მრავალჯერადად აცხადებდა, რომ იგეგმებოდა სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც რუსეთის მხარდაჭერით იყო ორგანიზებული. ხელისუფლება ღიად აცხადებდა, რომ ფლობდა ვიდეოჩანაწერებს, სატელეფონო საუბრებს, სადაც ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები ხვდებოდნენ რუსეთის წარმომადგენლებს და იგეგმებოდა გადატრიალების არაერთი მცდელობა.

7 ნოემბრის დემონსტრაცია არ ყოფილა უკანასკნელი ნაციონალური მოძრაობისთვის. უკმაყოფილო ხალხი მასა წლიდან წლამდე იზრდებოდა და პიკს 2011 წელს მიაღწია. მაშინდელი ხელისუფლება კვლავ ეცადა ძალისმიერი მეთოდებით გამკლავებოდა 2011 წლის 26 მაისის დემონსტრანტებს, თუმცა ეს საკმაოდ ძვირად დაუჯდათ და 2012 წელს, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ხელისუფლება პირველად შეიცვალა არჩევნების გზით. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2011 წელს გამოაქვეყნა ანგარიში 26 მაისის დემონსტრაციის დაშლასთან დაკავშირებით „აქციის დაშლის დროს და მასთან კავშირში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების ანალიზი“.

თავდაპირველად მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ დემონსტრანტები იქცეოდნენ თუ არა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე

მუხლისა და ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით დაცულ სფეროში, რომელიც გულისხმობს მანიფესტაციისა და შეკრების უფლებას. ამის გარკვევა დაგვეხმარება დავადგინოთ ჰქონდათ თუ არა სახელმწიფოს წარმომადგენლებს კანონიერი უფლება დაეშალათ დემონსტრაცია. შემდეგ კი რამდენად დაიცვეს დემონსტრაციის დაშლისთვის საჭირო ვალდებულებები და გადააჭარბეს თუ არა მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებებს.

26 მაისამდე აქციებს ჰქონდათ ძირითად შემთხვევაში მშვიდობიანი ხასიათი. აქციები იმართებოდა სხვადასხვა ქალაქებში და მოქალაქეები ხელისუფლების გადადგომას მოითხოვდნენ, თუმცა საიას ანგარიშში ნათქვამია, რომ დემონსტრანტებს შორის გამორჩეული იყო ე.წ „შეფიცულთა გუნდი“, სადაც დაახლოებით 150-300 ახალგაზრდა შედიოდა და ისინი აქტიურობის მაღალი ხარისხით ხასიათდებოდნენ. ფიზიკურ დაპირისპირებებს მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში ჰქონდა ადგილი, ისიც სწრაფადვე მოგვარდა თავად ორგანიზატორების მიერ და სამართალდამცავების ჩარევა არ გამხდარა საჭირო. 25 მაისს კი დემონსტრანტები პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე გადავიდნენ და იქედან აპროტესტებდნენ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. როგორც საიას განცხადებაშია ნათქვამი, ერთადერთი მოტივი, რის საფუძველზეც ახსნეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა დემონსტრაციის დაშლა, იყო 26 მაისს, „დამოუკიდებლობის დღეს“, აღლუმის ჩატარების აუცილებლობა. დემონსტრანტების ქცევა იყო მშვიდობიანი და მათი რაოდენობაც არ იყო მასშტაბური, თუმცა მას შემდეგ რაც გაისმა მოწოდებები და სცადეს მათი ადგილიდან გაყვანისა, დემონსტრანტებს შეუერთდა არაერთი ოპოზიციურად განწყობილი მოქალაქე. საია მანამ, სანამ შეაფასებდა დემონსტრანტთა ძალადობრიობას, განმარტა, რომ ისინი ამას გაზომავდნენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომით, სადაც ძალადობრივი შეკრების განმარტება შემდეგია: „მშვიდობიანი შეკრება არ მოიცავს დემონ-

სტრაციებს, სადაც ორგანიზატორებს და მონაწილეებს აქვთ აშკარად ძალადობრივი განზრახვა, რასაც მოჰყვება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა“. შესაბამისად, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აცხადებს, რომ არსებული დემონსტრაციები არ ყოფილა ძალადობრივი. პლასტმასის ჯოხები, რომლებსაც ატარებდნენ მოქალაქეები არ გამოუყენებიათ უშუალოდ დაშლის მომენტამდე სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების წინააღმდეგ, შესაბამისად, ეს მათთვის იყო თავდაცვის საშუალება. რაც შეეხება საზოგადოებრივ წესრიგს, მისი დარღვევის საშიშროება მაშინ გახდა რეალური, როცა პოლიცია და სპეცდანიშნულების რაზმი გამოჩნდა მათი მიმართულებით. შესაბამისად, სახელმწიფოს ჰქონდა თმენის ვალდებულება, მანამ სანამ მშვიდობიანი იყო დემონსტრაცია. საიას ანგარიშის პირველი თავის დასკვნაში კი ვკითხულობთ, რომ ფორმალური თვალსაზრისით 2011 წლის 26 მაისის აქციის დაშლა შესაძლოა გამართლებულად მივიჩნიოთ, თუმცა იმის გამო, რომ აქციის დაშლის პროცესში გამოყენებული იყო არაპროპორციული ძალა, ეს საკითხი უმნიშვნელო ხასიათს იძენს.

დემონსტრაციის დაშლის პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი რაც გამოიკვეთა იყო ის, რომ დემონსტრანტებს არ ჰქონდათ ღია გასასვლელი. საიამ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსთხოვა მტკიცებულება, რის საფუძველზეც დაადასტურებდნენ, რომ მათ ღია გასასვლელი დაუტოვეს მოქალაქეებს, თუმცა მათ ვერანაირი მტკიცებულება ვერ მიაწოდეს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას. ყოველივე ეს ბადებს ეჭვს, რომ როგორც წინა დემონსტრაციის შემთხვევაში, არც ამჯერად ყოფილა მათი ერთადერთი მიზანი დემონსტრაციის დაშლა, რადგან ამ შემთხვევაში ისინი მისცემდნენ მოქალაქეებს თავის დაღწევის საშუალებას.

აქციის დაშლის პროცესში სამართალდამცავებმა გამოიყენეს წყლის ჭავლი, ცრემლსადენი გაზი, გაზის ყუმბარები, რეზინის

ტყვიები და ამას დამატებული რეზინის ხელკეტები. დღემდე გაურკვეველ ვითარებაში დემონსტრაციას შეეწირა ორი ადამიანის სიცოცხლე, დაშავდა უამრავი ადამიანი, რამაც შემდგომ უკვე 2012 წელს გამართულ არჩევნებზე ხელი შეუწყო ხელისუფლების ცვლილებას.

2012 წელს მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ, „ქართულმა ოცნებამ“, პირობა დადო საკუთარი მოქალაქეების წინაშე, რომ წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით ძალას არასდროს გამოიყენებდა. ასრულებდნენ ამ პირობას მანამ, სანამ 2019 წლის 20 ივნისს, მართლმადიდებლობის ანსამბლეის სხდომაზე, საქართველოს პარლამენტში, თავმჯდომარის სკამზე არ დასვეს რუსეთის ფედერაციის დეპუტატი სერგეი გავრილოვი, საიდანაც მან რუსულ ენაზე მიმართა ანსამბლეის მონაწილეებს. რუსეთის თემა ქართველი საზოგადოებისთვის მტკივნეული საკითხია, რაც ვერ გათვალა ხელისუფლებამ და შემდგომ უკვე ეს კარგად გამოიყენეს ოპოზიციურმა პარტიებმა. ამ თემასთან დაკავშირებით სამართლებრივი შეფასება გააკეთა „სოციალური სამართლიანობის ცენტრმა“. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ დიდი დრო ამ დემონსტრაციის დაშლიდან არ გასულა და ხელისუფლებაში ისევ ის, ადამიანები იმყოფებიან, რომლებიც უშუალოდ იღებდნენ გადაწყვეტილებებს აქციების დაშლის პროცესში. ყოველივე ეს კი შეფასების კუთხით ბევრად ართულებს ვითარებას.

მსგავსად წინა ორი დემონსტრაციისა, გავყვები შეფასების ორ ხაზს, რამდენად მშვიდობიანები იყვნენ დემონსტრანტები და შესაბამისად იყო თუ არა ლეგიტიმური სახელმწიფოს გადაწყვეტილება დაეშალათ დემონსტრაცია, მეორე - გადააჭარბეს თუ არა კანონით დადგენილ უფლებამოსილებებს სამართლებრივმა ძალებმა დემონსტრაციების დაშლის პროცესში.

20 ივნისის საღამოს დაიწყო აქცია სლოგანით „სირცხვილია“, სადაც დემონსტრანტების მთავარი მოთხოვნა იყო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსა-

ხურის უფროსის და შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან გადაყენება. 2019 წლის 20 ივნისის დემონტრაციის დაშლისას პირველადი ანგარიში წარმოადგინა ასევე „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა (EMC)". მათ 25 ივნისს მიმართეს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თბილისის მერიას, რომ მიეღოთ საჯარო ინფორმაცია გადაწყვეტილების მიმღები პირის, ამ გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლისა და დემონსტრანტების მიმართ გაკეთებული მოწოდებების შესახებ, თუმცა მათ ამის შესახებ ვერანაირი ინფორმაცია მიიღეს.

„სოციალური სამართლიანობის ცენტრის" შეფასებით, აქცია პირველი სამი საათის განმავლობაში ატარებდა მშვიდობიან ხასიათს. მოქალაქეები აპროტესტებდნენ ოკუპაციას და თანამდებობიდან რამდენიმე წევრის გადადგომას მოითხოვდნენ. თუმცა დემონსტრაციის მშვიდობიანი ხასიათი რამდენიმე საათში შეიცვალა „ნაციონალური მოძრაობის" წევრის ნიკა მელიას მოწოდებით, რომ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში შეჭრილიყვნენ პარლანეტში. ამ მოწოდების პარალელურად ხალხის მასაში გამოიკვეთა პირები, რომლებიც ცდილობდნენ პოლიციის კორდონის გარღვევას და პარლამენტში შეჭრას, თუმცა სამართალდამცავებმა შეძლეს სიტუაციის განმუხტვა და რამდენიმე პირი დააკავეს. მართალია გარკვეული ჯგუფი ცდილობდა პარლამენტში შეჭრას, მაგრამ მათ გარდა რუსთაველზე კიდევ იმყოფებოდა უამრავი ადამიანი, რომლებიც ინარჩუნებდნენ მშვიდობიან ხასიათს. ის, რომ დაადგინეს შეკრების კანონსაწინააღმდეგო ხასიათი, ეს ავტომატურად არ მიანიშნებდა იმაზე, რომ ძალის გამოყენებით უნდა შეეწყვიტათ დაუყოვნებლივ დემონსტრაცია. მოქალაქეებს აქვთ დემონსტრაციის ჩატარების ფუნდამენტური უფლება, რასაც მათ ანიჭებთ საქართველოს კონსტიტუცია, შესაბამისად სახელმწიფოს მთელი რიგი პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები აკისრია ამის დასაცავად.

„სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ შეფასებით, 20 ივნისის საღამოს სამართალდამცავ ორგანოებს არ ჰქონდათ გეგმა, რომლის დახმარებითაც ისინი შეეცდებოდნენ სიტუაციის დეესკალაციას. პოლიციელების ქცევა აქციის დაშლის პროცესში არ დაექვემდებარა შიდა მონიტორინგს, რის გამოც იყო თვითნებური და მათი ქცევა ატარებდა ძალადობრივ ხასიათს. აგრეთვე პოლიციელებმა გაზის გაშვების შემდეგ დაუყოვნებლივ დაიწყეს რეზინის ტყვიების გამოყენება, რის გამოც ფაქტობრივად მოქალაქეებს თავის დაღწევის საშუალება არ მიეცათ. თვალსაჩინო იყო რეზინის ტყვიების არადიფერენცირებული გამოყენება, რაც გულისხმობს იმას, რომ სამართალდამცავი პირები ობიექტურად ვერ აფასებდნენ იმას თუ საიდან მოდიოდა საფრთხე და შესაბამისად ტყვიებს იყენებდნენ უდანაშაულო ადამიანების წინააღმდეგ. შესაბამისად, 20 ივნისის აქცია, რომელიც გარკვეულ ეტაპზე ძალადობრივ ხასიათს ატარებდა, დაიშალა სამართალდამცავების მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენებით. შედეგად ეს დემონტრაცია ხალხმა შერაცხა „სისხლიან ღამედ“, რასაც უდანაშაულო ადამიანები შეეწირენ.

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზემოთ მოყვანილი დემონსტრაციები გარკვეულ ეტაპზე გახლდათ პროაქტიული, ხალხი გამოდიოდა რწმენით, რომ შეცვლიდნენ რეალობას, თუმცა მას შემდეგ, რაც სამართალდამცავი ორგანოები ცდილობდნენ დემონსტრაციების დაშლას, იწყებოდა მოქალაქეებში აგრესია, რასაც მოსდევდა ხელჩართული დაპირისპირება.

სამივე ორგანიზაციის შეფასებით დემონსტრაციების დაშლა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ხასიათდებოდა ძალთა არაპროპორციულობით, რადგან ისინი აჭარბებდნენ კანონით მინიჭებულ უფლებებს, ინდივიდუალურად იღებდნენ გადაწყვეტილებებს, წინასწარ არ აცნობებდნენ დემონსტრანტებს იმ საშუალებებზე, რომლის გამოყენებასაც ანიჭებდნენ და უფრო მეტიც, 2011

წლის 26 მაისის დემონსტრაციის შემთხვევაში მათ ჩაკეტეს გასასვლელი, რის გამოც ფაქტობრივად მოქალაქეებს თავის დაღწევის საშუალება აღარ ჰქონდათ.

მინდა ხაზი გავუსვა სახელმწიფო გადატრიალების საფრთხეზე აპელირებას, რომელიც ფაქტობრივად ხდებოდა მაპროვოცირებელი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის რომ გამოეყენებინათ ძალა. რუსეთის ფაქტორმა კი, კარგად იმუშავა სამივეს შემთხვევაში.

2007 წლის 7 ნოემბრის, 2011 წლის 26 მაისისა და 2019 წლის 20 ივნისის დემონსტრაციების ანალიზი: ექსპერტული შეფასებები

2007 წლის 7 ნოემბრის, 2011 წლის 26 მაისისა და 2019 წლის 20 ივნისის დემონსტრაციები საქართველოს ისტორიის ნაწილია, რომელსაც ქვეყნის პოლიტიკურ კურსზე ჰქონდა გარკვეული გავლენა. ექსპერტულ ინტერვიუებზე დაყრდნობით არაერთი მნიშვნელოვანი დასკვნა გამოიკვეთა, რამაც გავლენა მოახდინა მაშინდელი დემონსტრაციების ხასიათსა და შედეგებზე.

ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს და მათ შორის საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილია მშვიდობიანი მანიფესტაციებისა და შეკრების თავისუფლება (საქართველოს კონსტიტუცია, 1995). ის, რომ საქართველო ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანია, სადაც მუდმივად ხდება მასობრივი დემონსტრაციები, ამას ორგვარი მნიშვნელობა შესაძლოა მივანიჭოთ: პოზიტიური და ნეგატიური. პოზიტიურში იგულისხმება, რომ ეს შესაძლოა იყოს დემოკრატიის მოქმედების მთავარი პრინციპი და ხალხის იმედი, რომ მთავრობები მათ მოთხოვნას გაითვალისწინებენ. რაც შეეხება ნეგატიურს - ეს არის პროტესტი მიმდინარე სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური ან ნებისმიერი პრობლემების მიმართ, რომელსაც სხვანაირად ვერ მოაგვარებ (პირისპირ კომუნიკაცია, 25 მაისი, 2022). ექსპერტები თანხმდებიან იმაზე, რომ პროტესტის გრძნობა

ხალხში კარგია, ეს მიუთითებს ჩვენს განვითარებაზე და იმაზეც, რომ ადამიანებს საქართველოში არ აქვთ საშუალება დაიცვან საკუთარი პოლიტიკური შეხედულებები სხვადასხვა არხებით. პარლამენტში, საკრებულოებში არის უმრავლესობა, რომელიც ჩაგრავს პოლიტიკურ უმცირესობას, შესაბამისად ადამიანები მიმართავენ პროტესტს (პირისპირ კომუნიკაცია, 7 მაისი, 2022).

პროტესტის ფორმები უამრავია დაწყებული მშვიდობიანიდან დასრულებული დემონსტრანტების ძალადობრივი ქცევებით. გასფილდის განმარტებით ის შესაძლოა იყოს ინსტრუმენტულად კარგად ორგანიზებული კონკრეტული ინტერესების გარშემო ან კიდევ გამოირჩეოდეს უმიზნო ქცევით ან კონკრეტულ მიზანზე სწარფვით, რომელიც საერთოდ არაა იმ უკმაყოფილებასთან დაკავშირებული, საიდანაც წარმოიშვა პროტესტი (Gusfield, 1966).

2007 წლის 7 ნოემბრის, 2011 წლის 26 მაისისა და 2019 წლის 20 ივნისის პროტესტის ფორმების შეფასებისას, ერთ-ერთმა ექსპერტმა, რომელიც მისი თქმით დგას პოლიტიკურ კულტურასა და კონსტრუქტივისტულ ნარატივებზე, აღნიშნა, რომ საზოგადოებაში ნორმაა დამკვიდრებული და პროტესტის ფორმებიც შესაბამისად ერთმანეთის მსგავსია. „მე მაინც მგონია, რომ ქართული პოლიტიკური კულტურიდან გამომდინარე ამ აქციბზე დემონსტრანტების ქცევა ერთმანეთს გავს, არ არის ძალიან დიდი განსხვავებები“ (პირისპირი კომუნიკაცია, 10 მაისი, 2022).

სამივე მასობრივი დემონსტრაცია იყო ანტისახელისუფლებო და მათი გამომწვევი მიზეზები ხელისუფლების შეცდომები იყო. მაშინ როცა საზოგადოება იღებს გადაწყვეტილებას მიმართოს პროტესტს, ეს არ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ის მხოლოდ შეცდომებს აპროტესტებს. მაშინ, როცა ჯონ ლოკი აჯანყების უფლებაზე საუბრობდა, აღნიშნავდა, რომ შეცდომებს უშვებენ ხელისუფლებებიც, ისევე როგორც ადამიანები და ამას საზოგადოება პატიობს. მაგრამ როცა მათი შეცდომები არ არის ერთჯერადი, არამედ განმეორებითი ტიპისაა, ეს ნიშნავს იმას, რომ შეცდომა აღარაა (Locke, 1689).

„ამას უკვე ხალხი ნორმალურ საზოგადოებაში აღარ პატიობს ხელისუფლებას და აქ იწყება უკვე ლეგიტიმაციის კრიზისი. როცა ხელისუფლების ქმედებები სრულ შეუსაბამობაშია მოსახლეობის ქმედებებთან“ (პირისპირი კომუნიკაცია, 25 მაისი,2022).

აღსანიშნავია, რომ სამივე დემონსტრაციის შემთხვევაში იკვეთება „მტრის ხატი“, რომელიც დიდ გავლენას ახდენს დემონსტრაციების მსვლელობაზე და სახელმწიფოს პასუხზე. 2007 წლის 7 ნოემბერს მთავრობამ საჯაროდ განაცხადა იმ „რუსი აგენტების“ შესახებ, რომლებიც ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდნენ. გამოააშკარავა ვიდეო თუ აუდიოჩანაწერები, სადაც ისინი რუს წარმომადგენლებს ხვდებოდნენ. 2011 წლის 26 მაისს მომხდარი იყო 2008 წლის ომი და შესაბამისად ოპოზიციური სპექტრი არსებულ ხელისუფლებას აბრალებდა იმას, რომ ვერ აიცილა ომი, რასაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. 2019 წლის 20 ივნისს მომხდარ დემონსტრაციას კი წინ უძღოდა გავრილოვის პარლამენტში შესვლა და შემდგომ თავმჯდომარის სკამიდან რუსულ ენაზე სხდომის წაყვანა. „რუსი პოლიტიკოსი, რომელიც ოკუპირებული ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელშუ ჩაჯდა მართლმადიდებლობის სახელით, რაც მოხდა არსებული ხელისუფლების თანხმობით. შესაბამისად არცერთი თავმოყვარე საზოგადოება, მეც ვიყავი ამის მონაწილე, ვერ აიტანდა ოკუპანტი ქვეყნის პოლიტიკოსის იქ დაჯდომას. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ზედა პოზიციის სკამი, რადგან ჩვენ ვართ საპარლამენტო მმართველობის ქვეყანა. ერი იყო შეურაცხყოფილი და გამოვიდნენ სავსებით ლეგიტიმურად“ (პირისპირი კომუნიკაცია, 10 მაისი,2022).

განსხვავებული პოზიცია აქვს ერთ-ერთ ექსპერტს ამასთან დაკავშირებით. მისი თქმით ის, რაც მოხდა პარლამენტში არ იყო წინასწარ დაგეგმილი, რადგან იმ სკამზე უნდა დამჯდარიყო სერბი ევროპარლამენტარი. თუმცა ვერც რუსეთის, წარმომადგენელს გააგდებდა ვინმე პარლამენტიდან, რადგან ის არის კომიტეტის მნიშვნელოვანი წევრი და დამფინანსებელი, რაც მეტყველებს იმაზე,

რომ მისი პარლამენტიდან გაგდება ნიშნავდა უარს ჩვენს დასავლურ კურსზე. „ქართული ოცნების ინტერესში ეს ნამდვილად არ შედიოდა. მაშინ ქართულ ოცნებას რუსეთთან კვერცხის გაგორება არ სჭირდებოდა. ახლა შეიძლება უფრო სჭირდება, რადგან გამწარებული რუსეთი რას იზამს არავინ იცის, მაგრამ არა მაშინ“ (პირისპირი კომუნიკაცია, 24 მაისი, 2022).

სახელმწიფო გადატრიალების საფრთხე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა, რომელიც გამოიკვეთა სამივე დემონსტრაციის შემთხვევაში. 2007 წლის 7 ნოემბერს „რუსეთის აგენტებს“ ბრალდებოდათ სახელმწიფო გადატრიალების მზადება, 2019 წლის 20 ივნისს კი ნაციონალური მოძრაობის ლიდერის ნიკანორ მელიას მოწოდებამ, რომ შეჭრილიყვნენ პარლამენტში, რადგან სხვაგვარად მათი მოთხოვნები ვერ სრულდებოდა, პირდაპირ ჩაითვალა სახელმწიფო გადატრიალების საფრთხედ. ეს შეიძლება ჩაითვალოს ვარდების რევოლუციის გამოვლინებად, რადგან 2003 წელს იგივე სცენარით, პარლამენტში შეჭრით გადაიბარა მმართველობა მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებამ. სცენარი იყო იგივე, მათ ჩათვალეს, რომ სახელმწიფო გადატრაილება იგეგმებოდა და ამის პრევენციისთვის უნდა გამოეყენებინათ ყველა არსებული იარაღი. „რევოლუცია რამდენად ცუდია, სადავო საკითხია, რადგან ზოგი ავტორი გვეუბნება, რომ ეს არ არის ცუდი, რადგან თუ არ იცვლება არჩევნების გზით, მაშინ უნდა შეიცვალოს რევოლუციით, განსაკუთრებით განვითარებად სახელმწიფოებში და ის, რომ ამ სამივე დემონსტრაციის ნარატივი იყო იგივე, მე მაინც დემონსტრანტებს გავამართლებდი, რადგან ლეგიტიმურია, რომ ხელისუფლების შეცვლა უნდოდათ რევოლუციის გზით, მაგრამ ხელისუფლება როგორც ყოველთვის სუბიექტურია. ამიტომ მე ვერ გავამართლებ იმას, რომ ხალხს უნდოდა სახელმწიფო გადატრიალება და ამიტომ დაარბიეს ესე ბრუტალურად“ (პირისპირი კომუნიკაცია, 10 მაისი,2022).

კითხვაზე თუ რატომ ძალადობენ დემოკრატიული რეჟიმები, პასუხი ერთია. სახელმწიფო თავს იცავს ხალხის აგრესიისგან და მაშინ, როცა ისინი საფრთხეს უქმნიან მის გარშემომყოფებს, სახელმწიფო იძულებული ხდება გამოიყენოს კანონის ფარგლებში მის ხელთ არსებული ბერკეტები. საფრანგეთში მიმდინარე დემონსტრაციები, ამერიკის შეერთებულ შტატებში კაპიტოლიუმის აღება და სხვა მრავალი, გვაფიქრებინებს იმას, რომ ქართული საზოგადოება ნაკლებად ძალადობრივია. ისინი არ მიმართავენ აგრესიის გამოხატვის ისეთ გზებს, როგორც ზემოთ აღნიშნული ორი ქვეყნის მაცხოვრებლები. აშშ და საფრანგეთიც დემოკრატიის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითებია, თუმცა სახელმწიფო მოქალაქეების აგრესიას ძალიან მკაცრად პასუხობს. ამის პარალელურად შეგვიძლია ავიღოთ ბელორუსია, რომელიც ავტორიტარული სახელმწიფოს მაგალითია, ვხედავთ, თუ როგორ ჰუმანურად მართავს ხალხი პროტესტს, სანამ პრეზიდენტი ლუკაშენკო გამოიყენებს ძალას მათ წინააღმდეგ, რაც ხალხის აგრესიის მიზეზი ხდება. 2007 წლის 7 ნოემბრისა და 2011 წლის 26 მაისის შემთხვევაშიც დემონსტრანტების ქცევა არ ხასიათდებოდა აგრესიით, სანამ ხელისუფლებამ არ მიიტანა მათზე იერიში. დაახლოებით იგივე შეიძლება ვთქვათ 2019 წლის 20 ივნისის დემონსტრაციაზე, რადგან გარკვეული საათების განმავლობაში ის ინარჩუნებდა მშვიდობიან ხასიათს, მაგრამ მაშინ, როცა რამდენიმე ადამიანმა გადაწყვიტა პარლამენტში შესვლა, სამართალდამცავებმა დაიწყეს ძალის გამოყენება. ამ დროს კი მათ უკან იდგა ბევრი მშვიდობიანი მომიტინგე, რომელიც ამ ოპერაციის მსხვერპლი გახდა. მაშინ როცა დემოკრატიაში შესაძლებლობების ფანჯარა იხსნება, მას უწოდებენ მეორენაირად „window opportunity", იწვევს დემონსტრაციების განვითარებას, რადგან ადამიანებს ეხსნებათ გზა და ნაკლებად ეშინიათ სახელმწიფოსი. მაგრამ მეორე მოსაზრების თანახმად ეს ხელს უშლის პოლიტიკური პროტესტის ფანჯარას, რადგან ხალხი არჩევნების მეშვეობით

ამჯობინებს რაღაცის შეცვლა ქვეყანაში, ვიდრე პროტესტით (პირისპირი კომუნიკაცია, 25 მაისი, 2022).

შესაბამისად, პოლიტიკის ექსპერტთა ინტერვიუებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სამივე დემონსტრაციის შემთხვევაში დემონსტრანტების ქცევა არ იყო ძალადობრივი, თუმცა სახელმწიფოს პასუხი მათ ქცევებზე იყო არაპროპორციული. სახელმწიფოს აქვს კანონით მინიჭებული უფლება, რომ დაიცვან მოქალაქეები საფრთხისგან, მაგრამ მათ ამის განხორციელებისას საფრთხე არ უნდა შეუქმნან უდანაშაულო მოქალაქეების სიცოცხლეს. აგრეთვე შეგვიძლია ვთქვათ ისიც, რომ ძალადობენ დემოკრატიებშიც, ისევე როგორც ავტორიტარულ და ტოტალიტარულ სახელმწიფოებში, მაგრამ განსხვავება კანონია, რომელიც სამართალდამცველთა ქმედებებს აკონტროლებს. საფრთხე კი, რომელიც სახელმწიფო სტრუქტურებს ექმნებათ, აიძულებს ხელისუფლებას მიმართოს ძალისმიერ მეთოდებს.

2007 წლის 7 ნოემბრისა და 2011 წლის 26 მაისის დემოსნტაციებში მონაწილე სამართალდამცავთან ინტერვიუს ანალიზი

ინტერვიუს რესპონდენტმა 1993 წელს დაიწყო მუშაობა სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორად, იმუშავა როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პირობებში, ასევე „ქართული ოცნების“ დროსაც. ის მონაწილე იყო 2007 წლის 7 ნოემბრისა და 2011 წლის 26 მაისის დემონსტრაციების, შესაბამისად საინტერესოა, მისი როგორც ყოფილი სამართალდამცველის შეფასება აღნიშნული დემონსტრაციებისა. „პოლიციელის ფუნდამენტური მოვალეობაა, რომ დაიცვას საზოგადოების ინტერესები და საზოგადოებრივი წესრიგი, რადგან არცერთი მოქალაქის უფლება არ დაირღვეს. მიტინგების ჩატარებას თავისი წესები აქვს და როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროა პასუხისმგებელი, რომ მშვიდობიანად ჩაიაროს დემონსტრაციებმა, ასევე დემონსტრანტებიც ვალდებულე-

ბი არიან დაიცვან საზოგადოებრივი წესრიგი“ (პირისპირი კომუნიკაცია, 23 მაისი,2022).

რესპონდენტი აღნიშნავს, რომ თუკი სახელმწიფოში არის პროცენტულად დიდი მასის პროტესტი და ხალხი არის აღელვებული, სახელმწიფოს სჭირდება დიდი რესურსი ამ საზოგადოების დასაცავად. არის შემთხვევები როცა სახელმწიფო ვეღარ უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. ხალხი, როცა არის აღელვებული, იქმნება დიდი საზოგადოებრივი ტალღა, რომელიც სხვა ემოციებში გადადის და უჩნდება სხვა მოთხოვნებიც. ეს გახლავთ ნიმუში ზემოთ აღნიშნული გასფილდის თეორიისა (Gusfiels, 1966). ეს კი ჩარჩოებიდან გამოდის, სახელმწიფო ხედავს საფრთხეს, რომ მათი იქ ყოფნით სახელმწიფოს ფუნქციონირებას საფრთხე ემუქრება და არ აქვს მნიშვნელობა რომელი ხელისუფლებაა, ზემოთ უშიშროება მუშაობს არაჩვეულებრივად და უშიშროებისა და შსს-ს ინფორმაციები იკრიბება ერთად, ანალიზს აკეთებენ და ამის საფუძველზე ახდენენ იმ მოქმედებებს, რაც შემდეგ ხდება (პირისპირი კომუნიკაცია, 23 მაისი,2022).

„საზოგადოება და პოლიცია არის ერთი ქვეყანა, როგორც კი საზოგადოება გამოვა წყობიდან, ეს ჯაჭვია, არ შეიძლება, რომ წყობილებიდან გამოვიდეს ერთი ჭანჭიკი და მეორე არ მიაყოლოს. რა თქმა უნდა პოლიციელი ხომ რობოტი არაა, როცა მისკენ წინააღმდეგობა მიდის, პოლიციელი იქამდე დაიცავს ყველა კანონიერ ზომას, სანამდეც მას შეუძლია. მაგრამ როცა უკვე ხედავს, რომ გასცდა და ეს ჯაჭვს ვეღარ ამაგრებს, იმას მოყვება სხვა ჯაჭვი, რომელმაც უკვე უნდა შეაჩეროს. აი ის მეორე დანაყოფი უკვე მასიურად მომზადებულია რომ ეს უნდა შეჩერდეს, თორემ პირველ პლანზე რაც დგას, ეგაა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი, მაგრამ როცა მათაც კი ემუქრებათ უკვე საფრთხე, მოყვება სპეცრაზმი, რომლის პირდაპირი ვალდებულებაა, რომ რა ბრძანებასაც მიიღებს დაშალოს მიტინგი“ - აღნიშნავს რესპონდენტი. თუმცა აქ საინტერესო ისაა, რომ ბრძანების შესრულება გადადის თითოეული სპეცრაზმე-

ლის ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზე. ბრძანებაზე პასუხისმგებელი რა თქმა უნდა სახელმწიფოა, მაგრამ ამას ასრულებს კონკრეტული უფლებამოსილი პირები და თუ ისინი საკუთარი მოქალაქეების მიერ მიცემულ უფლებამოსილებას არასწორად გამოიყენებენ, ამისთვის პასუხიც უნდა აგონ.

რესპონდენტის განმარტებით, სამართალდამცავს არ აქვს უფლება უარი თქვას ბრძანების შესრულებაზე. სპეციალური მუხლიც არსებობს ბრძანების შეუსრულებლობის შესახებ და შემდგომ ის შესაძლოა ამისთვის დაისაჯოს, მაგრამ, არის გამონაკლისი შემთხვევებიც, როცა პოლიციელი ხვდება, რომ თავად ის ბრძანება არის კანონის დარღვევა, ამ შემთხვევაში მას უფლება აქვს უარი თქვას მის შესრულებაზე. რადგან თუ ის ამ ბრძანებას შეასრულებს, არა მხოლოდ ბრძანების გამცემი დაისჯება სათანადოდ, არამედ მისი შემსრულებელიც. ასევე აღსანიშნავია ის, რომ დემონსტრაციების დაშლისას ხშირად ადგილი აქვს გადაცდომებს. რესპონდენტის განმარტებით 2007 წლის 7 ნოემბერსაც და 2011 წლის 26 მაისსაც პოლიციამ გადააჭარბა მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, თუმცა როგორც ის აღნიშნავს „არ შეიძლება პოლიციას ყვავილებს ესროდე და ისინი იქედან ტყვიებს გესროდნენ“ (პირისპირი კომუნიკაცია, 23მაისი,2022).

რესპონდენტის განმარტებით ორივე დემონსტრაციაზე მოქალაქეებმა უარი თქვეს მშვიდობიან დემონსტრაციაზე და პოლიციელების მისამართით განხორციელდა არაერთი ფიზიკური თავდასხმა. მაშინ, როცა პოლიციელები ხედავენ, რომ მას ან მის კოლეგას ემუქრებათ საფრთხე, ისინი ინდივიდუალურად იღებენ გადაწყვეტილებებს და სწორედ ამ დროს ხდება გადაცდომები, რაც შემდეგ სპეციალურმა სამსახურებმა უნდა გამოიკვლიონ და ამ ადამიანებმაც პასუხი აგონ.

2011 წლის 26 მაისის კადრებიდან ისმის კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის (კუდ) დირექტორის, დავით ახალაიას სიტყვები *„ჩვენ ვაკავებთ ... რაც მეტი ...მ ეტი დაკავება*

გვინდა ...სიჩუმე ... ვაკავებთ ყველას, მეტი დაკავებული, მეტი პრემია". რესპონდენტმა ახალაიას ამ სიტყვებზეც გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ ეს სიტყვები შეიძლება გაიგო ცუდადაც და შესაძლოა კარგადაც. „იმ კაცმა არ თქვა, რომ მეტი დაკავებული და მეტი პრემია. მაგასთან ერთად იყო სიტყვა, რომ მეტი დაკავებული მშვიდად. მეტი დაკავებული სწორად ანუ პროფესიონალურად. ამ ოპერაციას თუ სწრაფად, ოპერატიულად ჩავატარებთ ანუ მთლიანად ამ მასას ავიყვანთ, ოპერაციის ჩატარება მაქსიმალური სისწრაფით და ნაკლები დაზარალებულით. ამისთვის კი სახელმწიფოსგან იქნებოდა პრემიები. ვიცავდი საზოგადოებრივ წესრიგს, ჩავატარე ოპერატიულო ღონისძიება და ამისთვის მომცეს პრემია და მინისტრი მეუბნება, რომ კარგი ოპერაციის ჩატარების შემთხვევაში მივიღებთ პრემიას" (პირისპირი კომუნიკაცია, 23 მაისი,2022).

როგორც ყოფილ სამართალდამცავთან ინტერვიუდან ირკვევა, პოლიციელები ასრულებენ ბრძანებებს და ისინი დემონსტრაციებზე დგანან მშვიდობის დასაცავად. 2007 წლის 7 ნოემბერსა და 2011 წლის 26 მაისს იყო გადაცდომები როგორც პოლიციელების მხრიდან, ასევე დემონსტრანტების და ამის გამო ორივე მხარე დაისაჯა კანონის ფარგლებში. პოლიციელები მანამ არიან შეზღუდულები, სანამ არ იქნება პირდაპირი საფრთხე საკუთარი მოქალაქეების ან კოლეგის წინააღმდეგ. თუ ისინი ხედავენ ამ საფრთხეს, იღებენ ინდივიდუალურად გადაწყვეტილებებს, რაც მათ ფსიქოტიპზეა დამოკიდებული. იმ შემთხვევაში კი თუ რომელიმე მხარე გადააჭარბებს კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას, ვალდებულია აგოს პასუხი კანონიერად.

დასკვნა

სტატიაში გამოვიკვლიე საქართველოს უახლოესი ისტორიიდან სამი ყველაზე მასშტაბური მასობრივი დემონსტრაცია. კვლევის მიზანი იყო მასობრივი დემონსტრაციების მიმდინარეობისას პროტესტის ფორმები, რომელსაც მიმართეს მოქალაქეებმა და სახელმწიფოს მხრიდან გამოვლენილი ძალადობის თავისებურებები.

კვლევის ფარგლებში, ჩატარებული ექსპერტული ინტერვიუებისა და ანგარიშების შესწავლით დადგინდა, რომ მოქალაქეების ქცევა მასობრივ დემონსტრაციებზე დასაწყისში იყო მშვიდობიანი, თუმცა მას შემდეგ, რაც სამართალდამცავი ორგანოები გადაწყვეტდნენ მათ დაშლას, დემონსტრანტთა რიცხვი იზრდებოდა და მათ რიგებს უამრავი აქტივისტი უერთდებოდა. შესაბამისად, ყოველივე ზემოთაღნიშნული მახასიათებლები, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პროტესტის პროაქტიულობას, სადაც თითოეულ წევრს ჰქონდა შინაგანი რწმენა, რომ შეცვლიდა არსებულ მდგომარეობას.

რაც შეეხება სახელმწიფოს მხრიდან გამოვლენილი ძალადობის თავისებურებებს, არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებმა აჩვენა ის გადაცდომები, რაც თან ახლდა სამივე დემონსტრაციების დაშლას სამართალდამაცავი პირების მხრიდან. სახელმწიფოს ქმედებები, როგორიცაა ძალთა არაპროპორციულობა, მოქალაქეთა დაცვის არარსებობა და პოლიტიკური ვენალობა შემდეგი პირობებით იყო განპირობებული: პირველი, სამართალდამცავებმა არ დაიცვეს ნორმები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებითაა გაწერილი და ამით ზიანი მიაყენეს უამრავი ადამიანის და მათ შორის მშვიდობიანი დემონსტრანტების ფიზიკურ თუ ფსიქიკურ ჯანმრთელობას; მეორე, სახელმწიფოს მხრიდან მიღებული გადაწყვეტილებები ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით აიხსნებოდა არსებული საფრთხით, სახელწმიფო გადატრიალებით, რომელიც საფრთხეს უქმნიდა სტატუს კვოს ანუ არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას; დაბოლოს, რუსეთის ანუ „მტრის ხატის“ ფაქტორმა

კარგად იმუშავა სამივე დემონსტრაციის მსვლელობის პროცესში და შემდგომ უკვე სახელმწიფოს გადაწყვეტილებებზე;

არსებულ შემთხვევებს შეესადაგა ჩარლზ ტილისა (1978) და ჰენკ ჯონსტონის (1966) თეორიული ჩარჩო, რომლის მიხედვითაც თითოეული ტიპის მახასიათებლებს მოერგო ზემოთ აღნიშნული სამი დემონსტრაცია. რის საფუძველზეც აღვნიშნავ, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს, 2011 წლის 26 მაისსა და 2019 წლის 20 ივნისს არსებულ მასობრივ დემონსტრაციებზე პროტესტი გახლდათ პროაქტიული, სახელმწიფოს მხრიდან გამოვლენილი ძალადობა გასცდა საერთაშორისო სტანდარტებით მიღებულ ნორმებს, შესაბამისად, სამართალდამცავთა ქმედებები იყო არათანაბარი, რომელიც ხასიათდებოდა მოქალაქეთა დაცვის არარსებობით, რაც გამოიხატა დაშინებაში, ცემაში, ძალის არამიზნობრივ გამოყენებაში და პოლიტიკური ვენალობით, რაც გულისხმობს იმას, რომ ხელისუფლებებმა სტატუს კვოს შენარჩუნების მიზნით გადაუხვიეს ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებს.

ლიტერატურის სია

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია „European Court of Human Rights".(1950) https://www.echr.coe.int/documents/convention_kat.pdf

ადამიანის უფლებათა ცენტრი „საქართველოში მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების მონიტორინგი".(2012) http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/Georgian.pdf

გაეროს საპარლამენტო ანსამბლეის ანგარიში „Guidelines on Freedom of Peaceful Assembly". (2010) https://www.osce.org/files/f/documents/4/0/73405.pdf

გზამკვლევი „შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლე-ბა".(2018). https://gdi.ge/uploads/other/0/672.pdf

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის „ანგარიში 26 მაისი". (2011). *https://gyla.ge/files/news/gamocemebi2012-2013/2011წელი/26%20მაისი%20-%20ანგარიში.pdf*

საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ". (1997). (https://matsne.gov.ge/ka/document/view/31678?publication=10)

სოციალური სამართლიანობის ცენტრი „21 ივნისის მოვლენები: აქციის დაშლა და ადამიანის უფლებების დარღვევის ძირითადი პრაქტიკა". (2019).

https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/20-ივნისი_შეფასება_1562244246.pdf

Baev, P. K. (2018). Civil wars in Georgia: Corruption breeds violence. In *Potentials of disorder* (pp. 127-144). Manchester University Press.

Gerardo L. Munck, "Democratic Theory after Transitions from Authoritarian Rule," Perspectives on Politics Vol. 9, № 2 (2011): 333–43

Guillermo O'Donnell and Philippe C. Schmitter, Transitions from Authoritarian Rule: Tentative Conclusions about Uncertain Democracies. Baltimore: Johns Hopkins University Press, 1986

Gurr, Ted Robert, 1969 "Why Men Rebel". Princeton: Princeton University Press

Gusfield, J (1966) "Functional Areas of Leadership in Social Movements", pp23

Gustafson, D (2019) “Hunger to Violence: Expleining the Violent Escalation of Nonviolent Demonstrations”

Dundua, S., Amashukeli, T., & Tabatadze, S. (2022). What Makes Social Movements Successful: The Case of Gudiashvili Square. *Europe-Asia Studies*, 1-20.

Henderson, C. (1991). Conditions affecting the use of political repression. Journal of Conflict Resolution, 35, 120–142.

Human Right Watch „Georgia’s Violent Dispersal of Protestors and Raid on Imedi Televison”. (2007). *(https://www.hrw.org/report/2007/12/19/crossing-line/georgias-violent-dispersal-protestors-and-raid-imedi-television)*

Jacqueline H.R demerit, 2016 “The Strategic of State Repression and Political Violence

James C Davies, “Toward a Theory of Revolution”, American Sociological Review, vol 27, February 1962, pp 5-19.

Johnson, Chalmers, 1966 “Revolutionary change”. Boston: Little, Brown

Johnston H, 2012 “State Violence and Oppositional Protest in High-Capacity Authoritarian Regimes”, pp. 55-74

Kriesi, Koopmans, 1995 “New Social Movements in Western Europe.

Kaprovich, O. G. & Sharikov, O. I (2021). Russia and Georgia: Time to Interact. Post-Soviet Issues, 8(1), 20-32.

M.C. against the Federal Republic of Germany, application #13079/87, decision of 6 March 1989

Opp, Karl-Dieter, and Wolfgang Roehl. 1990. Repression, Micromobilization, and Political Protest. Social Forces 69:521–47

PACE, Committee on Legal Affairs and Human Rights, Urgent need to prevent human rights violations during peaceful protests, Doc. 14060, 10 May 2016, §§ 70-71, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2xoSWEf, ბოლო ნახვა: 02.07.19.

Parliamentary Assembly “Urgent need to prevent human rights violations during peaceful protests https://www.ecoi.net/en/file/local/1351663/1226_1463488201_document-1.pdf

Samuel P Huntington, Political Order in Changing Societies, New Haven 1968, pp 33-50.

Singh, G. (1976) “Psychology of Political Violence, pp 3-13

Tabatadze, S. (2019). Far right political stances: the same trend in Georgia?. *Review of Nationalities*, (9).

Tchantouridzé, L. (2008). On the results of the special presidential elections in Georgia. *Central Asia and the Caucasus*, (1), 7-15.

Tilly, C. (1978). From mobilization to revolution. Reading, MA: Addison-Wesley.

Ketevan Kupatadze

Mass Demonstrations and State Violence in Georgia: Analysis of November 7, 2007, May 26, 2012 and June 20, 2019.

The article examines mass demonstrations and state violence in Georgia, in particular the analysis of the events of November 7, 2007; May 26, 2011; June 20, 2019. The topic of mass demonstrations is very relevant not only in Georgia, but also in the world, therefore academic literature has been interested in this issue for a long time. The study draws attention to the types of mass demosntrations and the nature of violence displayed by the state. Accordingly, within the framework of the research, the three largest mass demonstrations in the recent history of Georgia were taken. Based on the existing reports or documents and conducted interwiews, the purpose of the research is to understand what were the forms of public protest during the mass demosntrations of November 7, 2007; May 26, 2012; June 20, 2019 and what were the charasteristics of the state's violence in the process of breaking up the actions.

Key words: Mass Demontrations, State Violence, Types of Protest.